

მარიამ მამაგულაშვილი

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ელფოსტა: mariami.mamagulashvili@gmail.com

ოსების დემოლოგიური განვითარება საქართველოში: მიგრაცია, ენა და სოციალური პროცესები

აბსტრაქტი

საქართველო მონოეთნიკური ქვეყანა არასოდეს ყოფილა. შესაბამისად, საკმაოდ მრავალფეროვანია ჩვენს ქვეყანაში არსებული ეთნიკური სიჭრელის ზოგადი სურათი. ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ოსი მოსახლეობის დემოლოგიური დინამიკა და მიგრაციული პროცესები. საინტერესოა, რომ მეტი სიცხადე შევიტანოთ საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების საკითხებში, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ დავინახოთ დღევანდელი ზოგადი სურათი და მიმდინარე პროცესების სიღრმისეული საფუძვლები.

სტატიის მიზანია შეიქმნას სურათი საქართველოში ოსების დემოლოგიურ განვითარებაზე, შობადობის, მოკვდავობის, ბუნებრივი მატების და მიგრაციული სურათის გაანალიზების საფუძველზე. კვლევა ასევე აფასებს, რამდენად იკვეთება ცხინვალის კონფლიქტის ეთნოდემოგრაფიული საფუძვლის ნიშნები და როგორ აისახა ისტორიულ-პოლიტიკური პროცესები ქართულ-ოსურ ურთიერთობებზე.

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას - ინტერვიუებზე დაფუძნებული ნარატიული მონაცემების ანალიზს. ნაშრომის პირველ ნაწილში წარმოდგენილია ოსების ჩამოსახლების ისტორიული რეალიები, ეთნოსთაშორისი ურთიერთობების დინამიკა, საიდან იღებს სათავეს ქართველებს და ოსებს შორის დაპირისპირება და როგორ ვითარდებოდა წლების განმავლობაში. წარმოდგენილია პოლიტიკური კონტექსტი, ქრონოლოგიური და დემოლოგიური მონაცემები.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც მიზნად ისახავდა ენობრივი კომპეტენციების შეფასებას ოსი ეროვნების მოსახლეობაში როგორც ქართულ, ასევე ოსურ ტერიტორიაზე. სოციოლოგიური გამოკითხვა, რომელიც ჩატარდა ზეპირი გამოკითხვის მეთოდით ოსურ და ქართულ სოფლებში, გვიჩვენებს თუ როგორ აისახა არსებული ისტორიული

გამოცდილება ეთნოსთაშორის ენობრივ ბარიერზე. ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს ეს ენობრივი ბარიერი ქართველი და ოსი ეთნოსების ინტეგრაციაზე და ზოგადად მათ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებზე.

კვლევის სიახლეს წარმოადგენს ოსების ენობრივი კომპეტენციების განსაზღვრა ქართულ და რუსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. გვაძლევს სურათს თუ რა ტრანსფორმაცია განიცადა ერთის მხრივ ოსურმა ენამ, მეორეს მხრივ ქართულმა ენამ, ოსი ეთნოსის შესაძლებლობების ფარგლებში.

არსებული კვლევა ახლიდან აფასებს საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების ზოგად სურათს. ერთად აჯამებს აქამდე არსებულ მეტნაკლებად ფრაგმენტულ ინფორმაციებს. იგი ეყრდნობა არამხოლოდ ისტორიულ კონტექსტსა და სტატისტიკურ მონაცემებს, არამედ რეალური ადამიანების ნარატივებს და ემპირიულ გამოცდილებებს. კვლევა ახლებურად გადააფასებს ენობრივ კომპეტენციებს. იგი გვიჩვენებს ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე შექმნილ ენობრივ ბარიერებს ეთნოსებს შორის.

შესავალი

საქართველო მონოეთნიკური ქვეყანა არასოდეს ყოფილა. შესაბამისად, საკმაოდ მრავალფეროვანია ჩვენს ქვეყანაში არსებული ეთნიკური სიჭრელის ზოგადი სურათი. ამ კონტექსტში საინტერესო და მნიშვნელოვანია მეტი სიცხადე შევიტანოთ საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების საკითხებში და განვიხილოთ ის პროცესები, რომლებმაც ამ განვითარების თანამედროვე სურათი ჩამოაყალიბა.

ქართულ და უცხოენოვან ისტორიოგრაფიაში ოსთა ეთნოგენეზის, მათი პოლიტიკური ისტორიისა და მიგრაციების შესახებ განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. განსაკუთრებით მწვავე პოლემიკის საგანია ოსთა საქართველოში ჩამოსახლებისა და დამკვიდრების ეტაპები. თავდაპირველად საქართველოში ოსთა შედარებით მცირე რაოდენობა ცხოვრობდა, ხოლო მათი ინტენსიური ჩამოსახლება შემდგომ პერიოდში მიმდინარეობდა. ოსების დასახლება ქართლისა და კახეთის ტერიტორიაზე XX საუკუნის განმავლობაშიც გრძელდებოდა. დღეს ოსების საერთო რაოდენობა მსოფლიოში დაახლოებით 755 297 ადამიანია, რომელთაგან დაახლოებით 530 000 რუსეთში ცხოვრობს.

კვლევის მთავარ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების თანამედროვე სურათის განსაზღვრა და იმ ისტორიული, მიგრაციული, ენობრივი და სოციალურ-პოლიტიკური პროცესების გაანალიზება, რომლებმაც მის ჩამოყალიბებაზე გავლენა მოახდინა. სწორედ ამ ცენტრალური პრობლემის ფარგლებში განიხილება ოსთა საქართველოში ჩამოსახლება და მიგრაციული პროცესები, ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტის ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტი, ენობრივი კომპეტენციების ცვლილება და თანამედროვე ეთნოსთაშორისი ურთიერთობები. ამდენად, აღნიშნული საკითხები კვლევაში დამოუკიდებელ პრობლემებად კი არ განიხილება, არამედ საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების ერთიანი სურათის შემადგენელ და ურთიერთდაკავშირებულ ასპექტებად.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ოსი მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციების შესწავლა როგორც საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად, ისე რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. ჩატარებული ინტერვიუები გვიჩვენებს, როგორ აისახა არსებული ისტორიული გამოცდილება ეთნოსთაშორის ენობრივ ბარიერზე და როგორ უკავშირდება ეს ბარიერი ქართველი და ოსი ეთნოსების ინტეგრაციას, მათ სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. ორმოცდაათ რესპონდენტთან ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების ანალიზის საფუძველზე მიღებული ნარატიული მასალა საშუალებას გვაძლევს, საკვლევი საკითხები რეალური ადამიანების გამოცდილების საფუძველზეც განვიხილოთ.

კვლევა არ შემოიფარგლება მხოლოდ დემოგრაფიული მონაცემების ანალიზითა და თანამედროვე სოციალური პროცესების განხილვით. იგი ეყრდნობა ისტორიულ და ეთნოგრაფიულ კონტექსტსაც, რაც საშუალებას გვაძლევს გავიაზროთ, როგორ იცვლებოდა ოსების სოციალური და დემოლოგიური მდგომარეობა საქართველოში. ყურადღება ეთმობა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებს, კონფლიქტის განვითარებასა და იმ სოციალურ, დემოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ პროცესებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა ოსური იდენტობის ფორმირებაზე. ისტორიული და ეთნოგრაფიული მასალა კვლევაში გამოყენებულია თანამედროვე ვითარების განმარტებისათვის და არა როგორც დამოუკიდებელი კვლევითი მიმართულება.

სტატიაში ტერმინი „დემოლოგიური განვითარება“ გამოყენებულია ფართო მნიშვნელობით და მოიცავს მოსახლეობის რაოდენობრივ-დემოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად მიგრაციულ პროცესებს, ენობრივ მდგომარეობასა და სოციალურ ურთიერთობებს. შესაბამისად, კვლევის ფარგლებში დემოგრაფიული მონაცემები განიხილება დემოლოგიური განვითარების ერთ-ერთ კომპონენტად.

კვლევის მიზანია საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების ერთიანი სურათის გაანალიზება და ხელახალი შეფასება არსებული დემოგრაფიული, ისტორიული, მიგრაციული და ემპირიული მასალის საფუძველზე. კვლევა აერთიანებს ისტორიულ, ლინგვისტურ და ეთნოგრაფიულ წყაროებს, რომელთა გაანალიზება შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ საქართველოში ოსებთან დაკავშირებული მიგრაციული პროცესები და მათი ეთნიკური და ენობრივი იდენტობის ფორმირების თავისებურებები. სიღრმისეული ინტერვიუებით მოპოვებული ნარატიული მასალა კი აღნიშნულ პროცესებს რესპონდენტთა გამოცდილების საფუძველზე წარმოაჩენს.

კვლევის ფარგლებში ასევე განიხილება, რამდენად იკვეთება ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტის ეთნოდემოგრაფიული საფუძვლის ნიშნები და რა როლი შეასრულა ისტორიულ-პოლიტიკურმა პროცესებმა მის ჩამოყალიბებაში. აღნიშნული საკითხი განიხილება არა როგორც კვლევის დამოუკიდებელი მთავარი პრობლემა, არამედ როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, რომელმაც გავლენა მოახდინა საქართველოში ოსების დემოლოგიურ განვითარებაზე, მიგრაციულ პროცესებსა და ეთნოსთაშორის ურთიერთობებზე.

სიახლეს წარმოადგენს საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების შესახებ არსებული ფრაგმენტული ინფორმაციის თავმოყრა, გაანალიზება და ხელახალი შეფასება. კვლევა ერთმანეთთან აკავშირებს ისტორიულ და დემოგრაფიულ მონაცემებს, მიგრაციულ პროცესებსა და თანამედროვე ემპირიულ მასალას, რაც საშუალებას გვაძლევს საკითხი ერთიან კონტექსტში განვიხილოთ.

ნაშრომის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ოსი მოსახლეობის ენობრივი კომპეტენციების შესწავლა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად და რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე. აღნიშნული მასალა საშუალებას

გვადლევს დავაკვირდეთ, რა ცვლილებები განიცადა ოსური და ქართული ენების გამოყენებამ ოსი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში და როგორ უკავშირდება ენობრივი მდგომარეობა სოციალურ ინტეგრაციასა და ეთნოსთაშორის ურთიერთობებს.

ამრიგად, კვლევის მთავარი საკვლევი კითხვაა:

როგორ ჩამოყალიბდა საქართველოში ოსების თანამედროვე დემოლოგიური სურათი და რა გავლენა მოახდინა მის ფორმირებაზე ისტორიულმა, მიგრაციულმა, ენობრივმა და სოციალურ-პოლიტიკურმა პროცესებმა?

მთავარ საკვლევ კითხვასთან დაკავშირებულია შემდეგი ქვეკითხვები:

1. რომელმა ისტორიულმა, რელიგიურმა, ეთნიკურმა და კულტურულმა ფაქტორებმა განაპირობა ოსების საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლება და როგორ ვითარდებოდა მიგრაციული პროცესები სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე?
2. რამდენად იკვეთება ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტის ეთნოდემოგრაფიული საფუძვლის ნიშნები და რა გავლენა მოახდინა ისტორიულ-პოლიტიკურმა პროცესებმა მის ჩამოყალიბებასა და შემდგომ განვითარებაზე?
3. როგორია თანამედროვე ქართულ-ოსური ეთნოსთაშორისი ურთიერთობები, რა ენობრივი ბარიერები იკვეთება და როგორ უკავშირდება ისინი ოსი მოსახლეობის სოციალურ ინტეგრაციას?

კვლევის პირველი თავი ეთმობა კვლევის ზოგად კონტექსტს, საკითხის აქტუალობას, კვლევის მიზანს, სიახლესა და საკვლევ კითხვებს.

ნაშრომის მეორე თავი მოიცავს კვლევის კონცეპტუალურ ჩარჩოსა და თეორიულ მასალას. მასში განხილულია ოსთა საქართველოში დემოლოგიური განვითარების ისტორიული საფუძვლები და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა. გამოყენებულია ვ. ლორთქიფანიძის, ა. თოთაძის, რ. თოფჩიშვილის, ე.

კოპალიანის, ო. გასვიანისა და სხვა ავტორთა ნაშრომები. ამავე თავში განისაზღვრება კვლევისათვის მნიშვნელოვანი ძირითადი ცნებები და მათი ურთიერთმიმართება.

სტატიის მესამე თავი მოიცავს კვლევის მეთოდოლოგიასა და კვლევის დიზაინის აღწერას. მასში წარმოდგენილია გამოყენებული მეთოდები, რესპონდენტთა შერჩევის პრინციპები, კვლევის განხორციელების ეტაპები და მიღებული მასალის ანალიზის მიდგომები.

კვლევის მეოთხე თავი ეთმობა კვლევის მიგნებებსა და მათ ანალიზს. მასში ისტორიული და ეთნოგრაფიული მონაცემები განხილულია იმდენად, რამდენადაც ისინი თანამედროვე პროცესების განმარტებისთვისაა მნიშვნელოვანი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიგრაციულ პროცესებს, ენობრივ კომპეტენციებს, ეთნოსთაშორის ურთიერთობებსა და იმ ცვლილებებს, რომლებიც ოსი მოსახლეობის თანამედროვე სოციალურ მდგომარეობას უკავშირდება. კვლევის შედეგები ასევე შედარებულია შესაბამის სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილ მიგნებებთან, რაც შესაძლებელს ხდის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოვლენას.

ნაშრომის ბოლო თავი ეთმობა კვლევის შედეგების შეჯამებასა და დასკვნების ფორმულირებას.

კონცეპტუალური ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

საქართველოს ტერიტორიაზე ოსთა დასახლების საკითხი სადისერტაციო კვლევის ერთ-ერთი ცენტრალური ისტორიული პრობლემაა. ნაშრომში გაანალიზებული წყაროების მიხედვით, XIV საუკუნის დასაწყისიდან დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში ქართული წერილობითი წყაროები ქართლის ტერიტორიაზე ოსთა კომპაქტური დასახლებების შესახებ ცნობებს პრაქტიკულად აღარ გვაწვდის. მდგომარეობა მნიშვნელოვნად იცვლება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც წყაროებში ქართლის მთიანეთში ოსთა ახალი მიგრაციული მოძრაობა იკვეთება. ამ პროცესს ადასტურებს როგორც ქართული წერილობითი წყაროები, ისე უცხოელ მოგზაურთა და დიპლომატთა ცნობები (ლორთქიფანიძე, 2018).

მიგრაციას რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული ფაქტორი განაპირობებდა. ჩრდილოეთ კავკასიის მთიანი რეგიონების ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები

მოსახლეობის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ზღუდავდა. მწირი მიწები და რთული რელიეფი ხელს უწყობდა მოსახლეობის ნაწილის სამხრეთის, შედარებით ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო სივრცეებისკენ გადაადგილებას. მეორე მხრივ, ქართლის მოსახლეობა ხანგრძლივი ომების, შემოსევებისა და შიდა პოლიტიკური დაპირისპირებების შედეგად მნიშვნელოვნად იყო შემცირებული. მთიანი დასახლებებიდან ქართველთა ნაწილის ბარში გადასვლაც ქმნიდა ახალ დემოგრაფიულ სივრცეს. ამგვარად, ოსთა მიგრაციის პროცესის ახსნა მხოლოდ ერთი მიზეზით შეუძლებელია: მასში ერთდროულად მოქმედებდა ეკონომიკური, დემოგრაფიული და პოლიტიკური ფაქტორები (ლორთქიფანიძე, 2018).

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში მიგრაციის ხასიათი თანდათან შეიცვალა. ოსების ქართლის დაბლობში გადასახლების პროცესს ადგილობრივი ფეოდალების ეკონომიკური ინტერესიც უწყობდა ხელს. დაცლილ მამულებს სამუშაო ძალა სჭირდებოდა და რიგ შემთხვევებში თავად ქართველი ფეოდალები ცდილობდნენ ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსახლეობის ჩამოყვანას. ნაშრომში მოყვანილია იესე ბარათაშვილის ცნობაც, რომელიც სწორედ ოსების ჩამოყვანისა და ყმების რაოდენობის გაზრდის მცდელობას ეხება. ასევე განხილულია თუჯუკი კუდუხაშვილის შემთხვევა, რომელსაც ჩრდილოეთ კავკასიიდან ოსების გადმოსახლებისთვის აზნაურობა მიენიჭა (თოფჩიშვილი, 2007).

ეს ფაქტები აჩვენებს, რომ საქართველოში ოსთა დასახლება არ ყოფილა ერთჯერადი აქტი. იგი ხანგრძლივი, სხვადასხვა ინტენსივობის მქონე მიგრაციული პროცესი იყო, რომლის ხასიათიც კონკრეტული ისტორიული გარემოების შესაბამისად იცვლებოდა. თავდაპირველად მოსახლეობა ძირითადად მთიან და სასაზღვრო ზონებში სახლდებოდა, მოგვიანებით კი გადაადგილება ქართლის დაბლობისკენაც გაგრძელდა.

განსაკუთრებული დემოგრაფიული მნიშვნელობა XIX საუკუნის მეორე ნახევარს ენიჭება. ნაშრომში გამოყენებული მონაცემებით, XVII–XVIII საუკუნეებსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში მცხოვრებ ოსთა რაოდენობა ჯერ კიდევ შედარებით მცირე იყო, ხოლო მასობრივი მიგრაციული ტალღა განსაკუთრებით 1860-იანი წლებიდან გაძლიერდა (თოფჩიშვილი, 2007).

1860 წლის მონაცემებით, ჩრდილოეთ ოსეთში დაახლოებით 46 802 ოსი ცხოვრობდა, ხოლო საქართველოში - 19 324. 1880 წლის კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მონაცემებით კი ჩრდილოეთ ოსეთში მათი რაოდენობა 58 926-ს აღწევდა, საქართველოში კი უკვე 51 988-ს. ამდენად, დაახლოებით ორი ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ოსთა რაოდენობა ბევრად უფრო სწრაფად გაიზარდა, ვიდრე ჩრდილოეთ ოსეთში. ნაშრომში აღნიშნული სხვაობა ბუნებრივი ფაქტორების მაჩვენებლებთან არის შედარებული და კეთდება დასკვნა, რომ ასეთი ზრდის ახსნა მხოლოდ ბუნებრივი ფაქტორებით შეუძლებელია; შესაბამისად, მნიშვნელოვანი როლი მიგრაციულ მოძრაობას უნდა ჰქონოდა (ლორთქიფანიძე, 2018).

ეს დემოგრაფიული ცვლილება კვლევის მთავარი პრობლემისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ის გვიჩვენებს, რომ საქართველოში ოსური მოსახლეობის ფორმირება საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე მიგრაციული მოძრაობისა და შემდგომი ბუნებრივი დემოგრაფიული განვითარების ერთობლივი შედეგი იყო. სწორედ ამ პროცესში თანდათან ჩამოყალიბდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ოსური დასახლებები.

XX საუკუნეში ისტორიული მიგრაციული პროცესები ახალ პოლიტიკურ გარემოში გაგრძელდა. ნაშრომის მონაცემებით, ქართლსა და კახეთში ოსთა ინტენსიური დასახლება XX საუკუნეშიც მიმდინარეობდა. 1989 წლისთვის საქართველოში ოსების რაოდენობამ დაახლოებით 146 ათასს მიაღწია. მოგვიანებით ეს მაჩვენებელი მკვეთრად შემცირდა: 2002 წლის აღწერით, ნაშრომში მითითებული მონაცემებით, მათი რაოდენობა დაახლოებით 82 ათასს შეადგენდა (ლორთქიფანიძე, 2018).

ამ პროცესის შეფასებისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ მოსახლეობის რაოდენობას, არამედ მის ტერიტორიულ განაწილებასა და ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრაციას. სადისერტაციო კვლევაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა პერიოდში და მის შემდგომაც საქართველოში მცხოვრები ოსები ქართულ საზოგადოებასთან მჭიდროდ ინტეგრირებულ ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენდნენ. ამის მაჩვენებლად დასახელებულია ქართული ენის ცოდნა, ყოველდღიური ურთიერთობები, შერეული ქორწინებები და სოციალური კავშირები. ეს ვითარება მხოლოდ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ფარგლებს არ მოიცავდა: ოსური მოსახლეობა ცხოვრობდა შიდა ქართლში, კახეთში, ბორჯომში, ლაგოდეხსა და

საქართველოს სხვა რეგიონებში და ფართოდ იყენებდა ქართულ ენას (გაჩეჩილაძე, ჩოფლიანი, 2022).

სწორედ აქ იკვეთება კვლევისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ისტორიულ-დემოგრაფიული წინააღმდეგობა: ხანგრძლივი თანაცხოვრებისა და ინტეგრაციის პირობებში XX საუკუნის მიწურულს ურთიერთობები მკვეთრად იცვლება. 1990-იანი წლების დასაწყისის პოლიტიკური დაპირისპირების შემდეგ ყოფილი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ქართველებსა და ოსებს შორის ყოველდღიური კონტაქტები შემცირდა, ხოლო ქართულ ენას თანდათან რუსული ჩაენაცვლა. საქართველოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ოსების შემთხვევაში იგივე მასშტაბის გაუცხოება არ დაფიქსირებულა - ისინი კვლავ ინარჩუნებდნენ ქართულენოვან, მეზობლურ და ნათესაურ კავშირებს.

ეს განსხვავება მნიშვნელოვანი ანალიტიკური გარემოებაა. ერთი ეთნიკური ჯგუფის სხვადასხვა ტერიტორიულ სივრცეში განსხვავებული სოციალური და ენობრივი განვითარების არსებობა აჩვენებს, რომ ეთნიკური წარმომავლობა თავისთავად ვერ ხსნის შემდგომი გაუცხოების პროცესს. ისტორიული კონტექსტის გათვალისწინებით საჭიროა იმ პოლიტიკური და სოციალური გარემოს გაანალიზებაც, რომელშიც ქართულ-ოსური ურთიერთობები XX საუკუნის ბოლოს განვითარდა.

სტატისის საწყისი დემოგრაფიული მონაცემებიც სწორედ ამ პრობლემის გააზრებას ემსახურება. ნაშრომში აღნიშნულია, რომ 1989 წელს, კონფლიქტის დაწყების წინ, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და მთლიანად საქართველოში თანაბარი - 16,7‰ იყო; მოკვდაობის მაჩვენებელიც ორივე შემთხვევაში 8,1‰-ს შეადგენდა. ეს მონაცემები ავტორის მიერ გამოყენებულია იმ საკითხის შესასწავლად, ჰქონდა თუ არა შემდგომ დაპირისპირებას ეთნოდემოგრაფიული საფუძველი.

ისტორიული პროცესის შეფასებისას განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ოსური მოსახლეობა საქართველოს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე არ ყოფილა კონცენტრირებული. 2002 წლის აღწერის საფუძველზე ოსური მოსახლეობა დაფიქსირებულია კახეთის მრავალ სოფელში, სამცხე-ჯავახეთში, იმერეთში, რაჭა-ლეჩხუმში, მცხეთა-მთიანეთსა და სხვა რეგიონებში. ამ დასახლებებში

განსაკუთრებით უფროს თაობაში ფართოდ იყო გავრცელებული ქართულ-ოსური ორენოვნება, ახალგაზრდა თაობაში კი ხშირ შემთხვევაში ქართული დომინანტურ ენად იქცა (გაჩეჩილაძე, ჩოფლიანი, 2022).

ამრიგად, საქართველოში ოსთა ისტორიული და დემოგრაფიული განვითარების განხილვა რამდენიმე ერთმანეთთან დაკავშირებულ ეტაპს გვიჩვენებს. თავდაპირველად ოსური ეთნოსის ფორმირება ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიულ სივრცეში მიმდინარეობდა; შემდგომ დაიწყო საქართველოს მთიან ტერიტორიებზე ეტაპობრივი მიგრაცია; XVIII-XIX საუკუნეებში მოძრაობა თანდათან დაბლობისკენ გაფართოვდა, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში განსაკუთრებით ინტენსიური დემოგრაფიული ზრდა დაფიქსირდა. XX საუკუნეში ოსური მოსახლეობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ფართოდ იყო წარმოდგენილი და ქართულ საზოგადოებასთან მნიშვნელოვანი სოციალური, კულტურული და ენობრივი ინტეგრაცია ჩამოუყალიბდა.

სწორედ ეს ისტორიული სურათი წარმოადგენს თანამედროვე პრობლემის გააზრების საფუძველს. მიგრაცია, განსახლება და დემოგრაფიული ზრდა არ უნდა განვიხილოთ იზოლირებულ მოვლენებად. ისინი ქმნიან იმ ისტორიულ სივრცეს, რომელშიც ჩამოყალიბდა ქართულ-ოსური მრავალწლიანი თანაცხოვრება, კულტურული ურთიერთგავლენა და ინტეგრაცია, ხოლო მოგვიანებით - პოლიტიკური დაპირისპირებისა და კონფლიქტის შედეგად - ურთიერთობების მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია (გაჩეჩილაძე, ჩოფლიანი, 2022).

ამიტომ კვლევისათვის ცენტრალური საკითხი აღარ არის მხოლოდ როდის ჩამოსახლდნენ ოსები საქართველოში. უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმის გარკვევა, როგორ გარდაიქმნა მრავალსაუკუნოვანი მიგრაციისა და თანაცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებული ქართულ-ოსური დემოგრაფიული და სოციალური სივრცე ისეთ გარემოდ, რომელშიც XX საუკუნის ბოლოს პოლიტიკური დაპირისპირება და შემდგომი ეთნოსთაშორისი გაუცხოება გახდა შესაძლებელი. სწორედ ამ პრობლემასთან დაკავშირება აძლევს ისტორიულ მიმოხილვას ფუნქციას კვლევის მთლიან სტრუქტურაში და ქმნის საფუძველს შემდგომი დემოგრაფიული, ენობრივი და ემპირიული მონაცემების გასაანალიზებლად.

კვლევის მეთოდები

არსებული კვლევა ეყრდნობა სავსელე სამუშაოებს, რომლებიც განხორციელდა ქართულ და ოსურ სოფლებში. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კვლევა ჩატარდა ქარელისა და გორის მუნიციპალიტეტების სამ სოფელში - დვანში, დირბსა და ნიქოზში. რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კი კვლევაში ჩართული იყვნენ მუგუთის, ქვათეთრის, ველებისა და დიდმუხის მცხოვრებლები. რესპონდენტები იყვნენ აღნიშნულ სოფლებში მცხოვრები ოსი ეროვნების პირები.

კვლევისათვის შერჩეული დასახლებები ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე მდებარეობს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საკვლევი პრობლემის გათვალისწინებით, რადგან კვლევა ეხება ისტორიულ-პოლიტიკური პროცესების, ენობრივი კომპეტენციებისა და ეთნოსთაშორისი ურთიერთობების ცვლილებას კონფლიქტის შემდგომ პერიოდში.

ნაშრომი ასევე ითვალისწინებს გიორგი სორდიას მიერ 2009 წელს მომზადებულ ECMI-ის სამუშაო მოხსენებას №45 - „ოსები საქართველოში“. ნაშრომში განხილულია 2008 წლის კონფლიქტის შემდგომი პროცესები, დემოგრაფიული ცვლილებები და ქართულ-ოსური ინტეგრაციის საკითხები. სორდიას კვლევაში საქართველოში ოსების ინტეგრაციის შეფასების კრიტერიუმებად გამოყენებულია ქართული და მშობლიური ენების ფლობა, თვითიდენტიფიკაცია, გვარების ფორმები და სხვა მახასიათებლები. აღნიშნული კვლევა გამოყენებულია როგორც წინამდებარე კვლევისათვის მნიშვნელოვანი თეორიული და შედარებითი საფუძველი.

კვლევა ეფუძნება თვისებრივ მეთოდოლოგიას. აღნიშნული მიდგომის არჩევა განაპირობა საკვლევი პრობლემის თავისებურებამ: კვლევის მიზანი იყო არა მხოლოდ კონკრეტული მოვლენების რაოდენობრივი აღწერა, არამედ რესპონდენტების გამოცდილებების, აღქმების, ენობრივი პრაქტიკებისა და ქართულ-ოსური ურთიერთობების ცვლილების შესწავლა.

თვისებრივი კვლევა საშუალებას გვაძლევს სოციალური პროცესები განვიხილოთ მათი კონტექსტის, ინდივიდუალური გამოცდილებისა და რესპონდენტების მიერ მოვლენებისთვის მინიჭებული მნიშვნელობების გათვალისწინებით. თინათინ

ზურაბაშვილი თვისებრივ კვლევას განიხილავს არა მხოლოდ როგორც მეთოდების ერთობლიობას, არამედ როგორც სოციალურ მეცნიერებებში არსებულ კვლევით მიდგომას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ინდივიდთა გამოცდილების, მათი შიდა ლოგიკისა და კონტექსტზე დაფუძნებული ინტერპრეტაციების შესწავლა.

სწორედ ამიტომ კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მიდგომა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა საკვლევ კითხვებზე პასუხები მიღებულ იქნეს წინასწარ მკაცრად განსაზღვრული პასუხების კატეგორიების გარეშე და გამოიკვეთოს ის საკითხებიც, რომლებიც ინტერვიუს პროცესში თავად რესპონდენტთა ნარატივებიდან წარმოიშობა.

აქ მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლევა არ წარმოადგენს mixed-methods კვლევას. სტატისტიკური და დემოგრაფიული მონაცემები გამოყენებულია ისტორიული და სოციალური კონტექსტის წარმოსაჩენად, ხოლო პირველადი ემპირიული მასალა მოპოვებულია თვისებრივი კვლევის მეთოდით - სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით.

კვლევის ფარგლებში ჩატარდა 50 სიღრმისეული ინტერვიუ ქართულ და რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრებ ოსი ეთნოსის წარმომადგენლებთან.

კვლევის საწყის ეტაპზე გამოყენებული იყო არასტრუქტურირებული ინტერვიუს ელემენტები, რაც შესაძლებლობას იძლეოდა უფრო თავისუფლად გამოვლენილიყო რესპონდენტებისთვის მნიშვნელოვანი საკითხები. შემდგომ ინტერვიუები მიმდინარეობდა სიღრმისეული, ნაწილობრივ სტრუქტურირებული ფორმით. ინტერვიუსთვის არ გამოიყენებოდა მკაცრად სტანდარტიზებული კითხვარი; არსებობდა ძირითადი თემატური მიმართულებები, თუმცა რესპონდენტებს ჰქონდათ საკუთარი გამოცდილების თავისუფლად გადმოცემის შესაძლებლობა.

ინტერვიუების ხანგრძლივობა საშუალოდ 35–45 წუთს შეადგენდა.

ინტერვიუების ძირითადი თემები მოიცავდა ქართულ-ოსურ ურთიერთობებს წარსულსა და დღევანდელობაში, კონფლიქტის პერიოდში მიღებულ პირად გამოცდილებას, ენობრივი კომპეტენციების ცვლილებას, ენობრივი ბარიერის

წარმოშობას, შერეულ ქორწინებებს, თაობათაშორის განსხვავებებსა და სოციალური ინტეგრაციის საკითხებს.

კვლევის სამიზნე ჯგუფი ორი ძირითადი კატეგორიისგან შედგებოდა:

პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ოსი ეროვნების პირები, რომლებიც როგორც კონფლიქტამდე, ისე შემდგომ პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ცხოვრობდნენ.

მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები ოსი ეროვნების რესპონდენტები.

რესპონდენტთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპით. შერჩევის მთავარი კრიტერიუმი იყო რესპონდენტის ოსური ეთნიკური წარმომავლობა და მისი ცხოვრება საკვლევ ტერიტორიაზე. კვლევის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო ორივე სივრცეში მცხოვრები ოსი მოსახლეობის გამოცდილების წარმოდგენა, რათა შესაძლებელი გამხდარიყო მათი ნარატივებისა და ენობრივ-სოციალური გამოცდილებების შედარება.

სხვა სპეციალური შერჩევითი კრიტერიუმები წინასწარ არ ყოფილა განსაზღვრული. კვლევაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ასაკის, ორივე სქესისა და განსხვავებული საქმიანობის მქონე ადამიანები.

50 რესპონდენტიდან 31 იყო ქალი და 19 კაცი. რესპონდენტთა ასაკობრივი დიაპაზონი იყო 23 დან 90 წლამდე.

კვლევის საველე ნაწილის განხორციელებისას პირდაპირი კონტაქტი ყველა რესპონდენტთან შესაძლებელი არ იყო. განსაკუთრებით რთული იყო რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებთან პირისპირ კომუნიკაცია, არსებული გადაადგილებისა და უსაფრთხოების შეზღუდვების გამო. შესაბამისად, ინტერვიუების ნაწილი ჩატარდა პირისპირ, ნაწილი კი - დისტანციურად, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით.

პირისპირ ჩატარდა 27 ინტერვიუ, ხოლო სატელეფონო ფორმით - 23.

ინტერვიუები ჩატარდა ქართულ და ოსურ ენებზე.

ინტერვიუების შედეგად მიღებული მასალის ანალიზისთვის გამოყენებულია თემატური ანალიზი. პირველ ეტაპზე გაანალიზდა ინტერვიუების ნარატიული მასალა და გამოიყო განმეორებადი თემები და მნიშვნელოვანი საკითხები. შემდგომ ისინი დაჯგუფდა თემატურ კატეგორიებად.

ანალიზის შედეგად გამოიყო რამდენიმე ძირითადი მიმართულება: ქართულ-ოსური ურთიერთობებისა და არსებული სოციალური კავშირების ცვლილება; ენობრივი ბარიერის ჩამოყალიბება; ქართული, ოსური და რუსული ენების გამოყენების ცვლილება; შერეული ქორწინებების შემცირება; თაობათა შორის დამოკიდებულებების განსხვავება; კონფლიქტის შემდგომი სოციალური გაუცხოება და ინტეგრაციის საკითხები.

რესპონდენტთა მონათხრობი გამოყენებულია მათი პირადი გამოცდილებებისა და აღქმების შესასწავლად. შესაბამისად, ინტერვიუებში გამოთქმული მოსაზრებები არ განიხილება ისტორიული ფაქტების დამოუკიდებელ დადასტურებად, არამედ წარმოადგენს რესპონდენტთა გამოცდილებისა და დამოკიდებულებების ამსახველ ემპირიულ მასალას.

გამოკითხულ რესპონდენტთა ნარატივებში ეთნიკური ჩაგვრის პირადი გამოცდილება არ გამოკვეთილა, თუმცა აღნიშნული გარემოება არ იძლევა ამ საკითხის მთლიან მოსახლეობაზე განზოგადების შესაძლებლობას.

კვლევას რამდენიმე მნიშვნელოვანი შეზღუდვა ახლავს.

პირველ რიგში, რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე სავსელე სამუშაოების ჩატარება გადაადგილებისა და უსაფრთხოების არსებული შეზღუდვების გამო გართულებული იყო. შესაბამისად, ყველა რესპონდენტთან პირისპირ ინტერვიუს ჩატარება ვერ მოხერხდა და ინტერვიუების ნაწილი სატელეფონო ფორმით განხორციელდა.

მეორე შეზღუდვა უკავშირდება რესპონდენტთა მიერ ისტორიული მოვლენებისა და კონფლიქტის შეფასებას. ცალკეულ შემთხვევებში მათ არ ჰქონდათ სრული ინფორმაცია ფართო ისტორიულ და პოლიტიკურ პროცესებზე და მოვლენებს პირადი

გამოცდილებისა და სუბიექტური აღქმის საფუძველზე აფასებდნენ. ზოგიერთი რესპონდენტი ერიდებოდა კონკრეტულ კითხვებზე პასუხს, ზოგ შემთხვევაში კი საკითხების მიმართ ძლიერი ემოციური დამოკიდებულება გამოიკვეთა.

ამავე დროს, სწორედ პირადი გამოცდილებების გამოვლენა წარმოადგენს თვისებრივი კვლევის მნიშვნელოვან კომპონენტს. შესაბამისად, რესპონდენტთა ნარატივები გამოყენებულია არა ისტორიული ფაქტების დადასაბუხებად, არამედ იმის გასაანალიზებლად, თუ როგორ აღიქვამენ და განმარტავენ კვლევის მონაწილეები წარსულ და თანამედროვე ქართულ-ოსურ ურთიერთობებს.

კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შეზღუდვა დაკავშირებულია შერჩევის მოცულობასთან. კვლევაში მონაწილეობდა 50 რესპონდენტი და გამოყენებული იყო მიზნობრივი, არაპრობაბილისტური შერჩევა. შესაბამისად, მიღებული შედეგები სტატისტიკურად რეპრეზენტატიული არ არის და მათი ავტომატური განზოგადება მთლიან ოს მოსახლეობაზე დაუშვებელია. მიღებული მასალა გვაძლევს შესაძლებლობას გამოვავლინოთ ძირითადი თემები, გამოცდილებები და ტენდენციები კონკრეტულ საკვლევ ჯგუფში.

საკვლევი საკითხების სენსიტიური და ხშირად ემოციური ხასიათიდან გამომდინარე, ინტერვიუების ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა კვლევის ეთიკურ მხარეს.

რესპონდენტთა ვინაობა დაცულია და კვლევის შედეგებში მათი სრული სახელები და გვარები არ გამოიყენება. მონაწილეთა სურვილის შესაბამისად, ციტირებისას გამოიყენება მხოლოდ მათი ინიციალები. ამ მიდგომის მიზანია მონაწილეთა კონფიდენციალურობის დაცვა, განსაკუთრებით იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ კვლევა ეხება კონფლიქტს, ეთნიკურ ურთიერთობებსა და პოლიტიკურად სენსიტიურ საკითხებს.

კვლევის შედეგები

განხორციელებული საველე სამუშაოების ფარგლებში მოპოვებულმა ნარატიულმა მასალამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვეკვეთა მსგავსებები და განსხვავებები საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად და რუსეთის მიერ

კონტროლირებად ტერიტორიებზე მცხოვრები ოსი რესპონდენტების გამოცდილებებს შორის. მიღებული შედეგები ეფუძნება არა მხოლოდ ისტორიულ და დემოგრაფიულ კონტექსტს, არამედ რეალური ადამიანების ნარატივებსა და ემპირიულ გამოცდილებებს. კვლევამ განსაკუთრებით გამოკვეთა ენობრივი კომპეტენციების, თაობათაშორისი განსხვავებების, ინტეგრაციისა და კონფლიქტის შემდგომი სოციალური ურთიერთობების საკითხები.

როგორც გიორგი სორდია თავის კვლევაში „ოსები საქართველოში“ აღნიშნავს, საბჭოთა პერიოდიდან მოყოლებული ოსები შიდა ქართლსა და ზოგადად ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის მაღალი დონით გამოირჩეოდნენ. მსგავს მოსაზრებას ავითარებენ პაატა გაჩეჩილაძე და კობა ჩოფლიანი ნაშრომში „საერთო ფასეულობები ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად“. მათ მიერ განხილული მონაცემები აჩვენებს, რომ XIX–XX საუკუნეებში საქართველოში ოსი მოსახლეობის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხოლო 1989 წლისთვის ოსები საქართველოს ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენდნენ. 1990-იანი წლების კონფლიქტებმა, ეკონომიკურმა კრიზისმა და სოციალურ-პოლიტიკურმა არასტაბილურობამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მათ შემდგომ მიგრაციულ პროცესებზე (გაჩეჩილაძე, ჩოფლიანი, 2022).

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ოსი მოსახლეობის რაოდენობა 14 400 ადამიანს შეადგენდა, რაც ქვეყნის საერთო მოსახლეობის დაახლოებით 0,39%-ს უდრიდა. დიდი ქალაქების გარდა, ოსური მოსახლეობა საქართველოს რამდენიმე რეგიონში იყო წარმოდგენილი.

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო ოსი რესპონდენტების ენობრივი კომპეტენციების შეფასება და იმის გარკვევა, როგორ შეიცვალა ქართული და ოსური ენების გამოყენება სხვადასხვა თაობასა და ტერიტორიულ სივრცეში.

გამოკითხულ უფროსი თაობის წარმომადგენელთა ნარატივებში ხშირად იკვეთება ქართული ენის ყოველდღიური გამოყენება და ქართველ მოსახლეობასთან ინტენსიური სოციალური ურთიერთობები. ერთ-ერთი რესპონდენტი იხსენებს:

„მე ქართულად ლაპარაკი ბავშვობიდან ვიცი, შვილო. იმ დროში ბავშვები ვიყავით და ჯერ ამას ვერ ვიგებდით - ვინ ვინ იყო, ქართველი იყო თუ ოსი - ყველა ერთად ვიყავით. ისე ვიყავით, როგორც ერთი სოფლის ხალხი უნდა იყოს. ჩემი ბებია მიყვებოდა ხშირად ცხინვალში ბაზრობაზე, ერგნეთშიც ვიყავით არაერთხელ“ (ქვათეთრი, ვ. გ., 72 წლის).

მსგავსი ნარატივები მიუთითებს, რომ გამოკითხული უფროსი თაობის ნაწილში ქართული ენის ცოდნა დაკავშირებული იყო ყოველდღიურ თანაცხოვრებასთან, ეკონომიკურ კონტაქტებთან, მეზობლობასთან, მეგობრობასა და ნათესაურ ურთიერთობებთან.

ამასთანავე, კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვანი თაობათაშორისი განსხვავება გამოიკვეთა. რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრები საშუალო და ახალგაზრდა თაობის რესპონდენტებში ქართული ენის ცოდნა გაცილებით ნაკლებად იყო წარმოდგენილი. ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

„მე თვითონ ნაწილობრივად ვიცი ქართული. როგორც ბავშვობაში ვისწავლე, ისე შემრჩა. მაშინ ხომ ხშირად მივდიოდით ქართულ სოფლებში, ხან ნათესავებთან, ხან მეგობრებთან. ჩვენმა შვილებმა არავინ იცის ეხლა ეგ ენა, მაგაზე არც გვიფიქრია“ (ველები, ლ. მ., 49 წლის).

კვლევისას რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გამოკითხულ შედარებით ახალგაზრდა რესპონდენტებში ქართული ენის ცოდნა იშვიათად გვხვდებოდა. ეს განსხვავება შეიძლება უკავშირდებოდეს ბოლო ათწლეულებში ქართველ და ოს მოსახლეობას შორის ყოველდღიური კონტაქტების შემცირებას, განათლებისა და საინფორმაციო სივრცის ცვლილებას და რუსული ენის მზარდ გავლენას.

საპირისპირო ტენდენცია გამოიკვეთა საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ოს რესპონდენტებში. აქ განსაკუთრებით ახალგაზრდა და საშუალო თაობაში ქართული ხშირად ყოველდღიური კომუნიკაციის ძირითად ენას წარმოადგენს. ამავე დროს, ოსური ენის თავისუფლად ფლობა უფრო მეტად უფროს თაობაშია შენარჩუნებული.

ერთ-ერთი უფროსი ასაკის რესპონდენტი თავის გამოცდილებას ასე აღწერს:

„უკვე ძალიან მოხუცი ვარ, შვილო... 82 წელი არ არის ცოტა... მერე აქ დავიწყე ცხოვრება. თავიდან რა ვიცი, ცოტა მიჭირდა. ენა სხვანაირია, ადათებიც. ხანდახან რაღაცას ვიტყოდი და სიცილით მიყურებდნენ, მაგრამ ბოროტი არასდროსავინ ყოფილა. ოსურადაც რომ ვლაპარაკობდი, სულ კითხულობდნენ, რას ნიშნავს ეს სიტყვაო?“ (დვანი, რ. გ., 82 წლის).

ამგვარად, კვლევის მონაწილეთა ნარატივებში ორი განსხვავებული ენობრივი მიმართულება გამოიკვეთა: საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ოსთა ახალგაზრდა თაობაში ქართული ენის დომინირება და ოსურის გამოყენების შემცირება, ხოლო რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე - ქართული ენის ფუნქციის მკვეთრი შემცირება და რუსულის გაძლიერება.

ეს განსხვავება არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ენის ცოდნის ტექნიკურ საკითხად. იგი დაკავშირებულია იმ სოციალურ გარემოსთან, რომელშიც კონკრეტული ჯგუფები ცხოვრობენ და ყოველდღიურ ურთიერთობებს ამყარებენ.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ენობრივი კომპეტენცია ინტეგრაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, თუმცა ენის ცოდნა ან მისი დაკარგვა ავტომატურად არ ნიშნავს ეთნიკური იდენტობის დაკარგვას.

საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ რესპონდენტთა ნაწილში ქართული ენა იმდენად დომინანტურია, რომ იგი გამოიყენება არა მხოლოდ ქართველებთან, არამედ თავად ოსებს შორის კომუნიკაციის დროსაც. ამავე დროს, ახალგაზრდა თაობაში ოსური ენის ცოდნის შემცირების მიუხედავად, რესპონდენტები კვლავ ოსურ ეთნიკურ იდენტობას ინარჩუნებენ.

ამიტომ კვლევის მონაცემები უფრო მეტად მიუთითებს ენობრივ ინტეგრაციასა და ნაწილობრივ ენობრივ ასიმილაციაზე, ვიდრე ეთნიკური იდენტობის ავტომატურ გაქრობაზე.

ენისა და იდენტობის ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეცენზენტის მიერ დასმული კონცეპტუალური საკითხის გათვალისწინებით. ინდივიდს შეუძლია

ყოველდღიურ კომუნიკაციაში ქართული ან რუსული გამოიყენოს, მაგრამ ამავე დროს საკუთარი თავი ოსად აღიქვას და ეთნიკური კუთვნილება შეინარჩუნოს.

ოსური ენის მდგომარეობის შეფასებისას განსხვავებული სურათი ჩანს რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ ოსურს ოფიციალური სტატუსი აქვს, რესპონდენტთა ნარატივები და გამოყენებული წყაროები მიუთითებს რუსული ენის ფართო ფუნქციურ დომინირებაზე.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

„რა გითხრა, დაო? ქართული ენა კი არა, ოსურიც დაგვაფიწყდა. ისე მოხდა რა, თავისდაუნებურად. აქ სულ რუსული გავლენაა, რუსული ტელევიზია და ჩვენც სულ რუსული ენა გვესმის. მინდა, არ მინდა, ესე გამოდის“ (მუგუთი, ვ. დ., 58 წლის).

მსგავსი საკითხი წარმოდგენილია ნაირა ბეპიევის შეფასებებშიც, რომლის მიხედვითაც ოსური სულ უფრო ხშირად ხდება ოჯახის ან „შიდა მოხმარების“ ენა, მაშინ როდესაც საზოგადოებრივ სივრცეში რუსული და სხვა ე.წ. „პრესტიჟული“ ენები დომინირებს.

ამ ვითარებაში ოსური ენის მდგომარეობა მხოლოდ ქართულ-ოსური ურთიერთობების შედეგად ვერ აიხსნება. კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ენის ფუნქციური შემცირება ორივე მხარეს შეინიშნება, თუმცა განსხვავებული მიმართულებით: საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე ქართულთან, ხოლო რუსეთის მიერ კონტროლირებად სივრცეში - რუსულთან მიმართებით.

ამგვარად, ენის ცვლილება რთული სოციალური პროცესია და მასზე ერთდროულად მოქმედებს გარემო, განათლების სისტემა, ყოველდღიური კომუნიკაცია, პოლიტიკური სივრცე და თაობათაშორისი გადაცემა.

ინტერვიუების ანალიზისას ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო თემა იყო ქართულ-ოსური ყოველდღიური ურთიერთობების ცვლილება კონფლიქტისა და განსაკუთრებით 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ.

რესპონდენტთა ნარატივებში ხშირად გვხვდება წარსული ურთიერთობების აღწერა - მეგობრობა, ნათესაური კავშირები, შერეული ქორწინებები, ერთმანეთის სოფლებში გადაადგილება, ერთობლივი დღესასწაულები და ეკონომიკური ურთიერთობები. კონფლიქტის შემდეგ კი ამ კავშირების მნიშვნელოვანი ნაწილი შეწყდა ან მკვეთრად შემცირდა.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

„რომ არ მომხდარიყო ეს ომი, ალბათ ახლაც წავიდოდით დიცში, ქეიფი გვექნებოდა, ჩემი ქალიშვილი იქ გათხოვდებოდა ან იქედან ვინმე მოიყვანდა ცოლად. ცხოვრება სხვანაირად წარიმართებოდა. მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი დიდი სევდა დამრჩა და ფიქრები იმაზე, რაც შეიძლებოდა ყოფილიყო და აღარ იქნება“ (დიდმუხა, მ. ფ., 43 წლის).

მსგავს ნარატივებში თვალსაჩინოა არა მხოლოდ პოლიტიკური დაპირისპირების, არამედ სოციალური კავშირების დაკარგვის გამოცდილებაც.

კვლევის მონაწილეთა ნაწილისთვის აღნიშნული ცვლილება მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან მათ პირად გამოცდილებაში ქართველებსა და ოსებს შორის ყოველდღიური ურთიერთობები კონფლიქტამდე ნორმალური სოციალური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა.

ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

„მე კი ვიცი, კარგად ვიცი, რომ ეს ყველაფერი პოლიტიკის ბრალია. ვერც წარმოიდგენ, რამდენი ქართული ოჯახი იყო აქეთ მომავალიც და აქეთ მეგობრობდა ოსებთან. ვისაც ნათესავები ჰყავდა ორივე მხარეს, ისინი საერთოდ ვერ ხვდებოდნენ, რა ხდებოდა. მაგრამ აი, პოლიტიკოსებმა თავისი ქნეს - ერთმანეთი დაგვაშორეს“ (დვანი, ნ. ქ., 64 წლის).

გამოკითხულ რესპონდენტებში გავრცელებული იყო პოლიტიკური პროცესების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება. მათი ნაწილი პასუხისმგებლობას პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს აკისრებს და ერთმანეთისგან განასხვავებს პოლიტიკური დაპირისპირების მონაწილე სტრუქტურებსა და ჩვეულებრივ მოსახლეობას.

მაგალითად:

„არა, დაო, ხალხი რა შუაშია? უბრალო ხალხს ჩვენ არ ვადანაშაულებთ... იმ ჩემ ქართველ მეგობრებს რა, ჩემთან ომი უნდოდათ? არაა, რას ლაპარაკობ. არ უნდოდათ, მაგრამ ასე გამოვიდა რა“ (მუგუთი, რ. გ., 57 წლის).

ამავე დროს, ყველა რესპონდენტის დამოკიდებულება ერთგვაროვანი არ ყოფილა. ცალკეულ ინტერვიუებში გამოიკვეთა განსხვავებული, ზოგჯერ მწვავე და ემოციური შეფასებებიც. ამიტომ კვლევის შედეგები არ გვაძლევს შესაძლებლობას ვისაუბროთ ერთიან „ოსურ“ ან „ქართულ“ პოზიციაზე.

უფრო სწორია ითქვას, რომ გამოკითხულთა ნარატივებში გამოიკვეთა მრავალფეროვანი დამოკიდებულებები, თუმცა მნიშვნელოვანი ნაწილი კონფლიქტის შედეგად სოციალური კავშირების გაწყვეტას მტკივნეულ გამოცდილებად აღიქვამს.

კვლევის ერთ-ერთი საკითხი იყო იმის შეფასება, რამდენად იკვეთებოდა რესპონდენტთა პირად გამოცდილებაში ეთნიკური ნიშნით ჩაგვრის შემთხვევები.

ამ საკითხის შეფასებისას აუცილებელია კვლევის მეთოდოლოგიური შეზღუდვის გათვალისწინება. კვლევაში მონაწილეობდა 50 მიზნობრივად შერჩეული რესპონდენტი, შესაბამისად მათი მონათხრობი ვერ იქნება გამოყენებული მთელი ოსი მოსახლეობის ისტორიული გამოცდილების სტატისტიკურად რეპრეზენტატიულ დასკვნად.

ამ პირობების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა ნარატივებში ეთნიკური ნიშნით სისტემური ჩაგვრის პირადი გამოცდილება არ გამოკვეთილა.

ეს შედეგი არ ნიშნავს, რომ კვლევა ისტორიულად გამორიცხავს ინდივიდუალური დისკრიმინაციის ან კონფლიქტური გამოცდილების ყველა შემთხვევას. იგი მხოლოდ ასახავს იმას, რაც გამოკითხულ რესპონდენტთა მონათხრობში გამოვლინდა.

ეს განსხვავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან პირადი ნარატივები გვაძლევს ინფორმაციას ადამიანების გამოცდილებასა და აღქმებზე, მაგრამ არ

წარმოადგენს ისტორიული მოვლენების სრული სურათის დამოუკიდებელ მტკიცებულებას.

კვლევის ერთ-ერთ ქვეკითხვას წარმოადგენს, რამდენად იკვეთება ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტის ეთნოდემოგრაფიული საფუძვლის ნიშნები.

ამ საკითხის შესაფასებლად კვლევაში გამოყენებულია ისტორიული წყაროები, დემოგრაფიული მონაცემები და რესპონდენტთა ნარატივები.

საბჭოთა პერიოდის დემოგრაფიული მონაცემები არ აჩვენებს ოსი მოსახლეობის მიმართ ისეთ განსხვავებულ დემოგრაფიულ დინამიკას, რომელიც თავისთავად ეთნიკური ჩაგვრის არსებობას დაადასტურებდა. მაგალითად, 1959 წლის მონაცემებით, შობადობის საერთო კოეფიციენტი ქართველებში 21,8‰ იყო, ხოლო ოსებში - 25,5‰. მსგავსი მონაცემები მიუთითებს, რომ ოსი მოსახლეობის დემოგრაფიული მდგომარეობის შეფასება უფრო ფართო ისტორიულ და სოციალურ კონტექსტშია საჭირო.

ასევე მნიშვნელოვანია ოსური ენისა და კულტურის ინსტიტუციური მდგომარეობა საბჭოთა საქართველოში. ისტორიულ წყაროებში წარმოდგენილია ოსური სკოლების, კულტურული დაწესებულებებისა და ოსური თეატრის არსებობა, რაც მიუთითებს ოსური კულტურული ცხოვრების ინსტიტუციურ ფორმებზე.

თუმცა აღნიშნული მონაცემები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ კონფლიქტის ბუნება ერთი ფაქტორით საბოლოოდ განისაზღვროს.

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი ისტორიული, დემოგრაფიული და ემპირიული მასალა არ ავლენს ისეთ ერთმნიშვნელოვან ნიშნებს, რომლებიც კონფლიქტის წარმოშობას მხოლოდ ეთნოდემოგრაფიული ფაქტორებით ახსნიდა. მიღებული მონაცემები მიუთითებს, რომ საკითხის სრულყოფილი შეფასებისას აუცილებელია ისტორიულ-პოლიტიკური, სამხედრო და გეოპოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებაც.

ამრიგად, მოცემული კვლევის ფარგლებში უფრო ფრთხილი და დასაბუთებული იქნება დასკვნა, რომ ეთნოდემოგრაფიული ფაქტორი ვერ განიხილება კონფლიქტის ერთადერთ ან საკმარის განმარტებად.

კვლევის ფარგლებში რესპონდენტებთან საუბრისას ყურადღება დაეთმო თანამედროვე დემოლოგიურ მდგომარეობასაც - შობადობას, მოკვდაობას, მიგრაციასა და ოჯახების შექმნის პროცესს.

ერთ-ერთი რესპონდენტი აღნიშნავს:

„დაბადებული კი ცოტაა. ადრე ჩვენს ეზოში ბავშვები დარბოდნენ, ახლა არის მარტო სიჩუმე. ვიღაცამ შარშან შვილი გააჩინა - მთელი სოფელი ლაპარაკობდა, ახალი ბავშვი გაჩნდა, გაიხარეთო!“ (დიდმუხა, ბ. ა., 47 წლის).

მსგავსი შეფასებები რამდენიმე რესპონდენტის ნარატივშიც გვხვდება, თუმცა მათი საფუძველზე კონკრეტული დემოგრაფიული მაჩვენებლების განსაზღვრა შეუძლებელია. ამიტომ თანამედროვე დემოლოგიური მდგომარეობის შესაფასებლად კვლევა იყენებს ოფიციალურ და დე ფაქტო სტრუქტურების მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებსაც.

2022 წლის ცხინვალის რეესტრის მონაცემებით, ცხინვალში 103 ბავშვი დაიბადა, ხოლო გარდაცვლილთა რაოდენობამ 430 ადამიანი შეადგინა. იმავე მონაცემებით, რეგისტრირდა 123 ქორწინება და 83 განქორწინება.

ეს მონაცემები მიუთითებს ბუნებრივი მოძრაობის უარყოფით ბალანსზე, თუმცა მათი ინტერპრეტაციისას გასათვალისწინებელია მონაცემთა წყაროს სტატუსი და ის გარემოება, რომ ისინი მთლიანად ცხინვალის რეგიონის დემოგრაფიულ სურათს შესაძლოა სრულად არ ასახავდეს.

დემოლოგიურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს მიგრაციული პროცესებიც. რეგიონიდან ახალგაზრდების გადაადგილება, ეკონომიკური პრობლემები, სამხედრო-პოლიტიკური გარემო და ხანგრძლივი კონფლიქტი მოსახლეობის ასაკობრივ და სოციალურ სტრუქტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

კვლევის შედეგებმა რამდენიმე ძირითადი ტენდენცია გამოკვეთა.

პირველ რიგში, ენობრივი კომპეტენციები მნიშვნელოვან განსხვავებას აჩვენებს როგორც ტერიტორიის, ისე თაობის მიხედვით. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მცხოვრებ ახალგაზრდა ოს რესპონდენტებში

ქართული ენა უფრო ფართოდ გამოიყენება, ხოლო ოსურის ცოდნა უფროს თაობასთან შედარებით მცირდება. რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე კი ახალგაზრდა თაობაში ქართული ენის გამოყენება მკვეთრად შემცირებულია, ხოლო რუსული დომინანტურ ენად გვევლინება.

მეორე, ენობრივი ცვლილება ავტომატურად არ ნიშნავს ეთნიკური იდენტობის დაკარგვას. ამიტომ კვლევის შედეგები საჭიროებს ინტეგრაციის, ენობრივი ასიმილაციისა და ეთნიკური იდენტობის ერთმანეთისგან მკაფიო გამოიჯენას.

მესამე, რესპონდენტთა ნარატივებში 1990-იანი წლების კონფლიქტები და განსაკუთრებით 2008 წლის ომი აღწერილია როგორც მნიშვნელოვანი გარდამტეხი მოვლენა, რომელმაც შეამცირა ყოველდღიური ქართულ-ოსური კონტაქტები, შეცვალა ენობრივი გარემო და გააღრმავა სოციალური გაუცხოება.

მეოთხე, გამოკითხულთა ნარატივებში ეთნიკური ნიშნით სისტემური ჩაგვრის პირადი გამოცდილება არ გამოიკვეთა, თუმცა მიზნობრივი თვისებრივი შერჩევის გამო აღნიშნული შედეგი მთლიან ოს მოსახლეობაზე ვერ განზოგადდება.

და ბოლოს, ისტორიული, დემოგრაფიული და ემპირიული მასალის ერთობლივი ანალიზი არ გვაძლევს საფუძველს, ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტი მხოლოდ ეთნოდემოგრაფიული ფაქტორებით ავხსნათ. კვლევის შედეგები აჩვენებს უფრო რთულ სურათს, რომელშიც ერთმანეთთან არის დაკავშირებული ისტორიული, მიგრაციული, ენობრივი, სოციალური, პოლიტიკური და სამხედრო პროცესები.

სწორედ ამ ურთიერთკავშირის გაანალიზება გვაძლევს შესაძლებლობას უფრო სრულად დავინახოთ საქართველოში ოსების თანამედროვე დემოლოგიური განვითარების სურათი.

დასკვნა

კვლევამ წარმოაჩინა საქართველოში ოსების დემოლოგიური განვითარების ძირითადი მიმართულებები, მათი ჩამოსახლებისა და საქართველოს ტერიტორიაზე განსახლების ისტორიული კონტექსტი, აგრეთვე ის პროცესები, რომლებმაც

საუკუნეების განმავლობაში ოსი ეთნოსის ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაციასა და ეთნოკულტურულ ურთიერთქმედებაზე მოახდინა გავლენა.

ჩატარებულმა სიღრმისეულმა ინტერვიუებმა აჩვენა, თუ როგორ აისახა არსებული ისტორიული გამოცდილება ეთნოსთაშორის ენობრივ ბარიერებზე და როგორ უკავშირდება ენობრივი გარემო ქართველ და ოს მოსახლეობას შორის სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ ურთიერთობებს. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ენობრივი კომპეტენციები განსხვავდება როგორც ტერიტორიული სივრცის, ისე თაობების მიხედვით. საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ქართული ენის გამოყენება უფრო ძლიერად არის წარმოდგენილი, ხოლო რუსეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე რუსული ენის გავლენა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ამასთან, ოსური ენის გამოყენების შემცირება ორივე სივრცეში განსხვავებული ფორმით ვლინდება.

კვლევამ ასევე გააერთიანა აქამდე არსებული მეტ-ნაკლებად ფრაგმენტული ისტორიული, დემოგრაფიული, ლინგვისტური და ეთნოგრაფიული ინფორმაცია და შეავსო იგი რეალური ადამიანების ნარატივებითა და ემპირიული გამოცდილებებით. ამ მიდგომამ შესაძლებელი გახადა თანამედროვე ენობრივი და სოციალური პროცესების არა მხოლოდ სტატისტიკური ან ისტორიული, არამედ ადამიანური გამოცდილების ჭრილშიც დანახვა.

ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე კვლევაში გამოიკვეთა პოზიცია, რომლის მიხედვითაც ოსთა კომპაქტური დასახლებების ჩამოყალიბება საქართველოში ძირითადად XVII–XIX საუკუნეების მიგრაციულ პროცესებს უკავშირდება. ამასთან, საკითხის შეფასებისას გათვალისწინებულია ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები და ისტორიული წყაროების ინტერპრეტაციის მრავალფეროვნება.

კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვეკითხვას წარმოადგენდა ცხინვალის რეგიონში განვითარებული კონფლიქტის ეთნოდემოგრაფიული საფუძვლის შეფასება. წარმოდგენილი დემოგრაფიული მონაცემები, ისტორიული მასალა და გამოკითხულ რესპონდენტთა ნარატივები არ ავლენს ისეთ ერთმნიშვნელოვან ნიშნებს, რომლებიც კონფლიქტის წარმოშობას მხოლოდ ეთნოდემოგრაფიული ფაქტორებით ახსნიდა.

შესაბამისად, კვლევის ფარგლებში უფრო დასაბუთებული ჩანს დასკვნა, რომ კონფლიქტის სრულყოფილი გააზრება საჭიროებს ისტორიულ-პოლიტიკური, სამხედრო და გეოპოლიტიკური ფაქტორების ერთობლივ გათვალისწინებას. ამდენად, ეთნოდემოგრაფიული ფაქტორი ვერ განიხილება კონფლიქტის ერთადერთ ან საკმარის განმარტებად.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულებები ერთგვაროვანი არ არის. მიუხედავად ამისა, მათი ნარატივების მნიშვნელოვან ნაწილში კონფლიქტი წარმოჩნდება როგორც მძიმე დემოლოგიური, ფსიქოლოგიური, მორალური და ეკონომიკური შედეგების მომტანი მოვლენა, რომელმაც არსებითად შეცვალა ყოველდღიური ურთიერთობები, შეამცირა პირდაპირი კონტაქტები და გააღრმავა სოციალური გაუცხოება.

მეცნიერული თვალსაზრისით, კვლევის ინტერდისციპლინური ხასიათი შესაძლებლობას იძლევა ოსურ-ქართული ურთიერთობები განვიხილოთ ისტორიული, დემოლოგიური, ლინგვისტური, სოციალური და პოლიტიკური პროცესების ურთიერთკავშირში. ასეთი მიდგომა ხელს უწყობს ოსთა მიგრაციის, მათი ინტეგრაციის, ენობრივი გარემოს ცვლილებისა და თანამედროვე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების უფრო სრულყოფილ გააზრებას.

კვლევის მნიშვნელობა ასევე მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი ბარიერების, თაობათაშორისი განსხვავებებისა და ტერიტორიული ენობრივი ტრანსფორმაციების გამოვლენით იქმნება დამატებითი ცოდნა საქართველოს მრავალეთნიკური საზოგადოების განვითარების შესახებ. ამავდროულად, კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ენობრივი ცვლილება არ უნდა გაიგივდეს ავტომატურად ეთნიკური იდენტობის დაკარგვასთან, ხოლო ინტეგრაციისა და ასიმილაციის პროცესები ერთმანეთისგან მკაფიოდ უნდა გაიმიჯნოს.

კვლევის ძირითადი მიგნებები და შემდგომი კვლევისთვის შემუშავებული რეკომენდაციები შეიძლება გახდეს საფუძველი მომავალი სამეცნიერო კვლევებისთვის, რომლებიც უფრო ფართო შერჩევით, დამატებითი რაოდენობრივი მონაცემებითა და შედარებითი მეთოდებით შეისწავლიან ოსი მოსახლეობის დემოლოგიურ და ენობრივ განვითარებას.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ოსი ეთნოსის ისტორიის, მიგრაციული პროცესების, კულტურული და ენობრივი თავისებურებების უკეთ გააზრება შეიძლება ხელს უწყობდეს ქართულ-ოსური ურთიერთობების გააზრებას, ნდობის აღდგენასა და ინტეგრაციული პროცესების მხარდაჭერას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი მიდგომების განვითარება, რომლებიც ერთდროულად ითვალისწინებს კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებასა და საერთო სოციალურ სივრცეში თანაცხოვრების შესაძლებლობას.

Mariam Mamagulashvili

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

E-Mail: mariami.mamagulashvili@gmail.com

Demological Development of the Ossetians in Georgia: Migration, Language and Social Processes

Abstract

Georgia has never been a mono-ethnic country. Accordingly, the overall picture of the country's ethnic diversity has always been highly heterogeneous. In this context, the demological dynamics and migration processes of the Ossetian population are of particular interest. It is important to provide a clearer understanding of the demological development of Ossetians in Georgia, as this enables a more comprehensive assessment of the current situation and the underlying factors shaping contemporary processes.

The aim of this article is to present an objective picture of the demological development of Ossetians in Georgia through an analysis of birth rates, mortality, natural population growth, and migration patterns. The study also examines the extent to which the Tskhinvali conflict exhibits signs of an ethno-demographic basis and explores how historical and political processes have influenced Georgian–Ossetian relations.

The study is based on a qualitative research methodology, specifically the analysis of narrative data obtained through in-depth interviews. The first part of the article presents the historical

realities of Ossetian migration to Georgia, the dynamics of interethnic relations, the origins of the confrontation between Georgians and Ossetians, and the way these relations have evolved over time. It also provides the political context together with chronological and demological data.

One of the key components of the research is a sociological survey aimed at assessing the language competencies of the Ossetian population living both in the territories controlled by the Government of Georgia and in the territories controlled by Russia. Conducted through oral interviews in Georgian and Ossetian villages, the survey demonstrates how historical experience has influenced the emergence of language barriers between ethnic groups. Furthermore, it illustrates how these language barriers affect the integration of Georgian and Ossetian communities, as well as their broader social, cultural, and economic relations.

The novelty of the research lies in its assessment of the language competencies of Ossetians living in both Georgian-controlled and Russian-controlled territories. The study provides an overview of the transformations experienced by both the Ossetian and Georgian languages within the context of the linguistic practices and opportunities of the Ossetian population.

The present research offers a renewed assessment of the overall picture of the demological development of Ossetians in Georgia. It brings together previously fragmented information into a comprehensive analysis. The study is based not only on historical context and statistical data but also on the narratives and empirical experiences of real people. It reassesses language competencies from a new perspective and demonstrates how historical developments have contributed to the formation of language barriers between ethnic groups.

გამოყენებული ლიტერატურა

ალბაროვა, დ. (2016). სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ინსტიტუციონალური საფასური: პოლიტიკური ინსტიტუტების ტრანსფორმაცია სამხრეთ ოსეთში. წიგნში *კონფლიქტის საფასური: ქართულ-სამხრეთოსური კონტექსტი*.

გაჩეჩილაძე, პ., & ჩოფლიანი, კ. (2022). *საერთო ფასეულობები ქართველებსა და ოსებს შორის ნდობის აღსადგენად*.

დურგლიშვილი, ნ. (2006). *სოციოლოგიურ მონაცემთა ანალიზი*.

ვალიევა, ს. (2016). სამხრეთ ოსეთის შეიარაღებული კონფლიქტის გავლენის შეფასება მის სოციალურ კაპიტალსა და კავშირებზე. წიგნში *კონფლიქტის საფასური: ქართულ-სამხრეთოსური კონტექსტი*.

ზურაბაშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში*.

თოთაძე, ა. (2006). *ოსები საქართველოში* (მე-2 შევსებული გამოც.).

თოფჩიშვილი, რ. (2007). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია: ეთნიკური ისტორია, ეთნიკური კულტურა*.

კომახია, მ. (2008). *ეთნოსები საქართველოში: აზერბაიჯანი, თანამედროვე მდგომარეობა*.

კუნჭულია, ლ. (2023). გაზრდილი მოთხოვნა ქართულ პასპორტებზე. რადიო თავისუფლება. <https://www.radiotavisupleba.ge/a/32127000.html>

ლორთქიფანიძე, ვ. (1998). *ისტორიული მესხეთი: დემოგრაფიული განვითარების პრობლემები*.

ლორთქიფანიძე, ვ. (2018). *დემოლოგია*.

მეტრეველი, რ. (2007). *კავკასიური ცივილიზაცია მსოფლიო გლობალიზაციური პროცესების კონტექსტში*.

პატარიძე, ლ. (2009). *პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს-ის ქართულ ერთობაში. წიგნში ქართლის ცხოვრების სამყარო*.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა. (2005). *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ*. სამოქალაქო განათლების განყოფილება. <https://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH01fe1b675adf2dbe4ecd3718;jsessionid=0E8E2F9AC444C98AC2933DA7D0A32FD9?ed=1>

საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა. (2008). *ეთნოსები საქართველოში*.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *საქართველოს მოსახლეობის 2022 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები*.

სმიტი, ე. დ. (2008). *ნაციონალური იდენტობა*.

სორდია, გ. (2009). *ოსები საქართველოში*.

უელტი. (2011). *საქართველოს კონფლიქტებში პროგრესის მოკლე ვადაში მიღწევის გეგმა*. http://www.iccn.ge/index.php?article_id=125&clang=0

ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“. (2005). *ქართულ-ოსური კონფლიქტის მიზეზების, დინამიკის, გადაწყვეტის გზების ძიებისა და სავარაუდო მიმართულებების შესახებ* (სერია N1).

წულაძე, ლ. (უ. წ.). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები*.

ჭიჭინაძე, ზ. (1916). *ოსების ჩამოსახლება ქართლში და ქართველების ამაგი და ღვაწლი მათზედ*.

ჯანიაშვილი, ლ. (2008). *ოსები საქართველოში. წიგნში ეთნოსები საქართველოში*.

ჯაოშვილი, ვ. (1996). *საქართველოს მოსახლეობა*.